# საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის

# ბრძანება №8

**2018 წლის 20 ივლისი**

**ქ. თბილისი**

## „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (სსმ IV, №32, 02.11.06) №2 დანართში, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, №299 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების №1 დანართში მოცემული რედაქციით.
2. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (სსმ IV, №32, 02.11.06) №3 დანართში, სადაც მოცემულია იმ იურიდიულ პირთა სია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოძრაობა თალიბანთან და ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან, №131 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების №2 დანართში მოცემული რედაქციით.
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ვ. ხასაშვილი**

*დანართი № 1*

### ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან

| № | პირადი ინფორმაცია (სახელი(ები), დაბ. თარიღი და ადგილი, ეროვნება/ მოქალაქეობა) | ფსევდონიმი(ები, ზედმეტი სახელი(ები) | პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი | მისამართი (ები), შესაძლო ადგილსამყოფელი | სიაში შეყვანის თარიღი | სხვა ინფორმაცია |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| **299** | <u>სახელები:</u><br>1. აიუბი (AYYUB)<br>2. ბაშირი (BASHIR)<br>3.<br>4.<br><u>ტიტული:</u><br>1. ქარი (Qari)<br>2. ალჰაჯ (Alhaj)<br><u>დაბ. თარიღი</u><br>ა) 1969<br>ბ) 1966<br>გ) 1964<br>დ) 1971<br><u>დაბ. ადგილი</u><br><u>ეროვნება/მოქალაქეობა:</u><br>ა) უზბეკი | ა) ალჰაჯ ქარი აიუბ ბაშარი (Alhaj Qari Ayub Bashar);<br>ბ) ქარი მუჰამად აიუბი (Qari Muhammad Ayub). | <u>პასპორტის მონაცემები:</u><br><u>პირადი ნომერი:</u><br>– | მირ ალი, ჩრდ. ვაზირისტანის სააგენტო, ტრიბალის ზონა, პაკისტანი ( Mir Ali, North Waziristan Agency, Federal<br>Administered Tribal Area, Pakistan) | **18.10.12**<br>**(ცვლილება 17.07.18)** | 2010 წლის დასაწყისის მონაცემებით, მეთაურთა საბჭოს წევრი და Islamic Movement of Uzbekistan-ის ფინანსური ხელმძღვანელი. (იურიდიულ პირთა სიაში №81)<br>2009–2012 წწ. კოორდინაციას უწევდა Islamic Movement of Uzbekistan-ის ფინანსურ და ლოჯისტიკურ დახმარებას ავღანეთსა და პაკისტანში.<br>გადასცა ფულადი სახსრები ფაზალ რაჰიმს (Fazal Rahim).(ფიზიკურ პირთა სიაში 297-ე)<br>ცნობების მიხედვით, გარდაიცვალა საჰაერო სროლების დროს ჩორდარში, ავღანეთის კუნდუს პროვინციაში (Chordar, Kunduz Province of Afghanistan)2015 წლის დეკემბერში. უშიშროების საბჭოს მიმოხილვა 2253(2015) რეზოლუციის შესაბამისად, დამთავრდა 2018 წლის 7 ივნისს. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ზ) ავღანელი | | | | | |

*დანართი 2*

## იურიდიულ პირთა სია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოძრაობა თალიბანთან და ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან

| N | ორგანიზაციის დასახელება | დასახელების სხვა ვარიანტები | მისამართი | სიაში შეყვანის თარიღი | სხვა ინფორმაცია |
|---|---|---|---|---|---|
| **131** | JEMMAH ANSHORUT TAUHID (JAT) | À) Jemaah Anshorut Tauhid;<br><br>Á) Jemmah Ansharut Tauhid;<br><br>Â) Jem'mah Ansharut Tauhid;<br><br>Ã) Jamaah Ansharut<br><br>Tauhid;<br><br>Ä) Jama'ah Ansharut Tauhid;<br><br>Å) Laskar 99. | Jl. Semenromo number 58, 04/XV Ngruki,<br><br>Cemani, Grogol, Sukoharjo, Jawa Tengah, Indonesia<br><br>ÔÄË: 0271-2167285;<br><br>ÄË-×ÏÓÔÀ: info@ansharuttauhid.com | **12.03.12**<br><br>**(ცვლილება**<br><br>**17.07.18)** | ჯგუფი, რომელიც დაახლოებულია Islamic State in Iraq and the Levant (ISIL), listed as Al-Qaida in Iraq (იურიდიულ პირთა სიაში 83-ე) - თან, რომელმაც პასუხისმგებლობა აიღო ინდონეზიაში თავდასხმებზე.<br><br>აბუ ბაქარ ბა' ასირი (Abu Bakar Ba'asyir) –<br><br>ორგანიზაციის დამაარსებელი და მეთაური<br><br>(ფიზიკურ პირთა სიაში 83-ე).<br><br>დაარსდა 2008 წლის 27 ივლისს სოლოში, ინდონეზია (Solo, Indonesia).<br><br>ჰქონდა კავშირი Jemmah Islamiya-ÓÈÀÍ (JI).<br><br>უშიშროების საბჭოს 2253 (2015) რეზოლუციის შესაბამისად, მოკვლევა დამთავრდა 2018 წლის 7 ივნისს.<br><br>ვებსაიტი: http:/ansharuttauhid.com/ |